

შინაური საქმეები

№ 15.

კვირა, 11 აპრილი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ჯვარცმა, სიკვდილი მართლისა— არქ. ნესტორისა, მარხვა (ლექსი)—რ. საჯავახოელისა. სამღვდლოების ავ—კარგი (წერილი ლ.) Janius.—სა პასუხად ბ. ბაჯითელის—ეპ. დავითისა, მოწერილი

ამბები:—ბ) გელათი 28 მარტს;—ბ) პროტოდიაკონი ლუკა ზოშტარია (ნეკროლოგი). ნარკვევი კვირიდამ კვირობამდე.

ჟურნალი „შინაური საქმეები“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს პრემიით შაფვის თხუზულგებას „იესო ქრისტე საქვირველება ისტორიისა“.

ყოველკვირეულ გაზეთი
„შინაურ საქმეებს“
 ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სახურთაღო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.
 წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ჯ 50 კ.
 გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

რედაქციისაგან

ამ ნომრიდგან ჟურნალი აღარ გაეგზავნება იმ ხელის მომწერლებს, რომლებმაც შარშან ოთხი მანათი შემოიტანეს და წელს ხელის მოწერა არ განუახლებიათ.

ჭკპარცმა

(ფარარათ)

აღესრულა!

თუმცა ერთი სიტყვითაც არაფერ ანუგეშა მაცხოვარი ჯვარზე, თუმცა ღრმა მწუხარების, შიშისა და კრთომის ყველასთვის პირი

შეეკრა, მაგრამ ხალხში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც გული შესტკიოდათ დიდებულ ტანჯულისადმი. მოშორებით იდგნენ რამოდენიმე დედანი, რომელნიც ხელვიდნ მას და ამ საშიშარ მდგომარეობაში შეიძლება კიდევ ელოდნენ დაუყოვნებლივ მის განთავისუფლებას. უმეტეს ნაწილად ეს ის დედანი იყვნენ, რომელნიც მსახურებდნენ მას გალილეაში და ეხლასხვა დედებთან ერთად მოსულიყვნენ იერუსალიმში დღესასწაულზე.

ამ დედათა კრებაში ყველაზე უფრო შესამჩნევი იყვნენ ყოვლად წმიდა დედა იესოსი, მარიამ მაგდალინელა, მარიაში, ცოლი კლეოპასი, დედა იაკობისა და იოსიასი, და სალომე, ცოლი ზებედესი. ზოგი ამათავანი ნელნელა უახლოვდებოდა ჯვარს და ბოლოს მაცხოვრის დაბნედილ თვალწინ წარსდგა, ყოვლადწმინდა დედა მიაი. იგი, რომლის სული განელო მწუხარების მახვილმა, იღვა ჯვარ ქვეშ მოწაფესთან ერთად, რომელიც უყვარდა იესოს. მის ქვეყნად მსახურების დროს დედა მისი რომორც ეტყობა, ხშირად არ ყოფილა მასთან. შეიძლება ამის მიზეზი ღარიბ ოჯახის მოვლა-პატრონობა იყო. მაგრამ იესოს არასოდეს არ შეეძლო დაევიწყებია იგი, ვინც ძუძუს აწოცებდა მას და ვისთანაც მან გაატარა მთელი ოცდაათი წელიწადი



ნაზარეთის ღარიბ ქოხში. ნაზი მზრუნველობით და მწუხარებით ფიქრობდა იგი თავის მშობლის მომავალზე იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ღარჩენოდა მას ქვეყნად ცხოვრებისათვის და რომელიც სავსე უნდა ყოფილიყო დევნითა და შფოთითა ახალ სარწმუნოების წინააღმდეგ. შემდეგ აღდგომისა იგი უნდა ღარჩენილიყო მოციქულებთან, ამიტომ უნჯობესი იყო მანვედ მზრუნველობა მიენდო იმ მოციქულისათვის, რომელიც უყვარდა და ახლოს იყო მასთან გულში და ცხოვრებაში. ამიტომ მას, იოანეს, ჩააბარა იგი მან. „დედაკაცო, უთხრა მან მოკლე, მაგრამ ღრმა, სინაზით სავსე სიტყვით, აჰა ძე შენი“, შემდეგ მიუბრუნდა იოანეს და უთხრა „აჰა დედა შენი.“ მას არ შეეძლო თავის მიმსჯეალული ხელები ეხმარა, მაგრამ შეეძლო ეჩვენებინა თავის დახრით. უხმო მღელვარებით მოისმინეს მათ ეს სიტყვები, და ამ დროიდან, შეიძლება ამ წამიდანაც, რომ მოეცილებია უსიამოვნო და შემადრწუნებელ სანახაოებას, და უსარგებლო ტანჯვებს, „მეწაფემან მან წარაფჳან იგი თვისთათანა“.

შუადღე იყო მზეს უნდა გაენათებია შემადრწუნებელი სანახაობა ისე, როგორც ჩვენში ანათებს ა აცხუნებს ზაფხულში. მაგრამ ამის მაგიერ ცა ჩამოზნელებული იყო, შუადღის მზე ამ დიდ საშინელ დღეს ბნელად გადაქეულიყო. ეს არ შეიძლება ჩვეულებრივი დაბნელება ყოფილიყო მიტომ, რომ მთვარე პასეკიბაზე სავსე იყო; გარნა ეს იყო ერთი იმ სასწაულთაგანი, რომელსაც ტყვილა ელოდენ ფარასელები ქრისტეს ქვეყნად მსახურების დროს. ძველნი მამანი ამ სიბნელის დასამტკიცებლად უთითებდენ წარმართ მწერლებზე—ისტორიკოს თალლასა და მემატიანე ფლეგონტზე; მაგრამ ჩვენ შეძლება არა გვაქვს შევამოწმოთ ასეთი მითითება, და ძალიან შესაძლებელია, რომ ეს სიბნელე აღგილობრივი იყო და ფარავდა მხოლოდ წინაღმდეგ ქალაქს და მის მიდამოებს. მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო იგი, ცხადია, რომ მან უფრო გააძლიერა საიდუმლო წინათგარძნობა. ებრაელთა მღვდლების ბასრობას

მხოლოდ ჯვარცმის პირველ წამებში ჰქონდა აღგილი, შემდეგ კი როგორც დანაშაულნი, ისე უდანაშაულონი ერთნაირად შეპყრობილი იყვნენ შიშითა და ძრწოლით. უკანასკნელ სამი საათის განმავლობის ამბავს სანახრება არაფერს მოგვითხრობს. ამ საშინელ დაბნელებას შეეძლო ყველა გაეტეტრებია ასე, რომ მოსათხრობიც არა ღარჩენილარა. რაც დაითმინა ამ ხნის განმავლობაში ქრისტემ ჩვენი გამოხსნისათვის, ამის გაგება ჩვენ არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ამ ხნის განმავლობაში იგი ეკიდა ჯვარზე უსიტყვოდ, ბნელში და თუ რამე სიტყვა, გადმოძქემიც არავინ იყო. მაგრამ ბოლოს მისმა ტანჯვამ უმაღლეს ხარისხამდის მიადწია, და იგი, სრულებით მოკლებული იმ დიდებას, რომელიც ჰქონდა უწინარეს ქვეყნის დაბადებისა, რომელმაც დასცალა სასმელი დამცირებისა და სიმწარისა, რომელმაც დაითმინა უკანასკნელი ქირღვა, რასაც კი ადამიანის ბოროტება მოიგონებდა უმწეო მონის დასამცირებლად, ხმობს საიდუმლო სიტყვებს, რომლის სრულ მნიშვნელობას თავის დღეში ვერ მისწვდება ადამიანი: „ილი! ილი! ღამა საბახთანა, ე. ა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რასათვის დამიტევე მე.“

თავის მწუხარების გამოსათქმელად მან იხმარა ეს სიტყვები ფსალმუნიდგან, რომელშიდაც დავითი გამოსთქვამს თავის მწუხარებას და რომელშიდაც წმ. მამები სამართლიანად ხედადენ ძველ წინასწარმეტყველებას ქრისტეს ვნებაზე. ამ წამში ის ყველასაგან მიტოვებული იყო. მისი ტანჯვები უფრო ღრმადებოდენ, და ბოლოს მის ღვთაებრივ კაცობრიობისათვისაც აუტანელი შეიქნენ.

ხმა ტანჯულისა ამ საშინელ დროს მაღლა გაისმა, მაგრამ იმ მდგომარეობის მიზეზით, რომელშიდაც იმყოფებოდა ქრისტე, რალაც გამოურკვეველი შეიქნა, მაშინ სიბნელეში და ხმაურობაში ბევრმა ვერ გაარჩია, რა სიტყვა; მათ მხოლოდ პირველი სიტყვები დაიქირეს და ერთი მეორეს გადასცემდენ, ვითომ ილიას უხმობსო. ეს ცრუ შთაბეჭდილება სწრაფათ მოეფინა გოლგოთაზე მყოფ ხალხში; და ეს

გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ველურ აღძრულობას და შიშის მოლოდინს რალაც დიდებულის და მოულოდნელის წინაშე, რომელსაც იგინი გრძობდენ შემდეგ პირველი ბასრობისა. ილია, დიდებული წინასწარმეტყველი ძველი აღთქმისა, განუყრელი იყო ებრაელების მესიის ყოველ მოლოდინთან, და ეს მოლოდინი საშინელი იყო. ილიას მოსვლის დღე საშინელების მომასწავებელი დღე უნდა ყოფილიყო, როცა მზე დაბნელებდა, მთვარე სისხლად იქცევა და ძალნი ცათანი შეიძვრიან. შუადღის მზე უკვე შეიმოსა სიგნელით: ხომ არ გასკდება ესლავე ცა და ხომ არ გადმოვა მრისხანე წინასწარმეტყველი, რომელიც შეეხება მთებს და ამოსქდება ცეცხლი? ბუნდოვანი შიში მოწინააღმდეგეთა, რომლებიც გრძობდა თავის დანაშაულობას, არ გამართლდა. ჯერ კიდევ ასეთი არ იყო ღვთის მოქმედების სახსარი. მისგან ადამიანის შეგონება ჯერ კიდევ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უნდა გამოხატულიყო ელვა ქუხილით და ძვრით კი არა, არც ძლიერ ქარით და მქუხარე ალით, არამედ წყნარი ხმით, რომელიც მოგვითხრობს დროთა დუმითა შორის ფუჩუნით, რაც გასაგებია მხოლოდ ადამიანის გულისათვის. მას არა აქვს არც ენა, არც სიტყვა და მისი ხმა კი ისმის.

X სიკვდილი მართლისა.

ჰონტოელ ჰილატეს ცოლის წერილი თავის მკვლახარ ქალთან

(ჩუხუდიდან. პირი ისტორიულ საბუთის წერილისა)

„კლავდია პროკულა, ფულბია რომელიას სალაში. შენ მთხოვე, ჩემო ერთგულო მეგობარო, გიამბო, რაც შენ გაყრის შემდეგ განვიცადე. ზოგი შენ კიდევაც გაგიგია და საიდუმლოება, რომლითაც ისინი გარემოცული არიან, გინეგავს გულში მწუხარებას ჩემი ბედის შესახებ. ვასრულებ შენ თხოვნას და ვცდილობ ჩემი ხსოვნის საღაროში

შევიკრიბო ჩემი ცხოვრების ჯაქვის გაფანტული ნაწყვეტები და, თუ შენ ამ აღწერილობაში ისეთ გარემოებაებს შეხვდები, რომელნიც განგაცვიფრებენ, გაიხსენე, რომ უმაღლესმა შემოქმედებითმა ძალეობმა წყვილიადთ გარემოცვის ჩვენი შობა, არსებობა და სიკვდილი და რომ სუსტ მომავლადვს არ შეუძლავა გაზომოს საიდუმლოებანი ბედისწერისა.

მე არ მოგავონებ შენ ჩემი ცხოვრების პირველ დღეებს, რომლებიც მწვიდობიანათ გავატარე ჩემი მშობლების ქერ ქვეშ და შენ მეგობრობაში. შენ იცი, რომ მე, როცა თექვსმეტი წლის შევიქენი, ქორწინებთ შევეურთდი ძველ წარჩინებულ გვარის კაც რომაელ პანტოელ პლატეს, რომელსაც მაშინ მმართველის საპატიო ადგილი ექარა იერიაში. გამოვედი ტაძრიდან თუ არა, მე მაშინვე უნდა პანტოელ პლატეს გავყოლოდი მისდამო რწმუნებულ მახარაში. არა მხიარულად, მაგრამ არც სიძულვილით გავყვე მე ჩემ მეუღლეს, რომელიც წლოვანებით მამად შემეფერებოდა; მე თქვენზე ვნაღვლობდი, თვალცრემლიანი მე ვეთხოვებოდი მამის მყუდრო სახლს, ნარბონის ბედნიერ ცას, მშვენიერ ძეგლებს და ჩემი სამშობლოს ამწვანებულ წალკოტებს.

ჩემი დაქორწინების შემდეგმა პირველმა წლებმა მწვიდობიანათ გაიარეს. ზეცამ მაჩუქა მე ძე, ის იყო ჩემთვის დღის სინათლეზე უძვირფასესი. მე განაწილებული მქონდა დრო ჩემი მოვალეობის აღსრულებისა და ქალის შესაფერ განცხრომათა შორის. ჩემ ვაჟს ხუთი წელი შეუსრულდა, როცა იმპერატორის განსაკუთრებითი მოწყალების გამო პონტოელი დანიშნულ იქმნა ურიასტანის მმართველად. დაქირავებულ მოსამსახურეების თანხლებით ჩვენ გავემგზავრეთ თვალწარმტაცი გზით. მე შევხაროდი ამ ქვეყანას, მდიდარს, ნაყოფიერს, რომლის მმართველად უნდა გამხდარიყო ჩემი ქმარი ხალხთა მწყობრელი რომის სახელით. იერუსალიმში დიდი პატივით მიმიღეს, მაგრამ მე ცხოვრებდი სრულიად განმარტოებულად, რადგან იქვიან და

ამპარტავან ებრაელებს ეძღვრებოდა ჩვენ, სხვა ტომის ხალხი, კერძო თაყვანის-მცემელი, — როგორც ისინი გვეძახიან ჩვენ, — ამბობენ, რომ ჩვენ იქ მყოფობით ვბილწავთ წმიდა ქვეყანას, რომელიც მამათა ღმერთთა აღუთქვა და მისცა მათ. მე ვატარებდა დროს ჩემ შვილთან ერთად ჩემ მყურდო ბაღებში, სადაც მურტი (მცენარეა) და ფუსტულის თხილი ერთმანერთს ჩაწნოდნენ, სადაც მოხდენილი დელოსზე უმშვენიერესი დანაკისკუდები (პალესტინის ბზა) აღმართულიყვნენ ნარინჯის და ბროწეულის ხეების გვერდით. აქ, ამ გრილ ჩრდილ ქვეშ, რქარგავდი ხოლმე საკურთხეველის გადასაფარებლებს, ან ზეკითხულობდი ვირგილიოსის ლექსებს, სმენის, და კიდევ უფრო გულის დამატკობებლებს. იშვიათი იყო, რომ ჩემ ქმარს, რამოდენიმე წაში გაეხიარებია ჩემთვის. ის იყო მუდამ მოწყენილი და სევდიანი: თუმცა მას დიდი უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს კადვი არ ქმარიყო, რომ მორჩილებაში დაეკირა ეს ხალხი, დიდი ხნიდგან დამოუკიდებელი, ბუნებით აჯანყების მიმყოლი, ათას გვარ ბრაზიან მწვალებლებად დაყოფილი, რომელიც ერთ სულობას იჩენდა მხოლოდ ერთ საქმეში: რომაელებისადმი ცაფმოკრულ სიძულვილში.

ერუსალიმის აუარებელ მცხოვრებთაგან მხოლოდ ერთი ოჯახი მიწვედა მცირედენ მეგობრობას, — ეს იყო სინაგოგის უფროსის, იაიროსის ოჯახი. მე დიდ კმაყოფილებას ვპოვებდი მისი მეუღლის — სალომეს ერთობაში, რომელიც იყო სათნოებისა და სიმშვიდის მაგალითი, აგრეთვე მათი ასულის თორმეტი წლის საყვარელი და მშვენიერი თმა-ხატუბა ქალის საარონის ვარდის მსგავს, სემიდას ნახვიაში. ხანდახან ისინი მელაპარაკებოდნენ მე თავიანთ მამათა ღმერთზე, მიკითხავდნენ საღვთაწერილის ზოგიერთ ადგილებს... და სწორეთ გითხრა, ფუბლია? როცა გამახსენდებოდა სალომეს მიერ წარმოთქმული და ჩემ მიერ მოსმენილი ქება ზენაარისა ღვთისა იაკობისა, შამ ერთისა ღვთისა, უნიფთოსისა, საუკუნოისა, უმწიკლო — უბიწოისა, ყოვლად მოწყალისა, ყოვლის უმძლავრებისა,

ძლიერების და სახიერების, საწმიდის და დიდების, შემაერთებელისა, — როცა გამახსენდებოდა სემიდას ხმა შეერთებული ჩანგის ჟღერასთან, გალობა წმიდა ფსალმუნებისა, ისრაელთ დიდებული მეფის თხუზულებისა, რომელიც თავის რიგზე, მეც ვსინჯე ჩემ ჩანგზე, — როცა ესენი გამახსენდებოდა, მაშინ განმარტოებული ჩემ ვაჟის აკვანთან ხშირად დავეშვებოდი მუხლებზე — დავიჩოქებდი და თითქმის ჩემდა უნებურად მოუწოდებდი იმათ ღმერთს, ვევედრებოდი იმ ღმერთს, რომელსაც თვითონ ბედის-წერა თავისი შეუდრეკელი ძალით ემორჩილება, როგორც მონა უფალს, და მე ლოცვის შემდგომ ავდგებოდი ყოველთვის გამხნვევებული და ნუგეშცემული.

ერთხელ სემიდა ავად გახდა; ერთ დილას, გაღვიძების დროს მე ამბავი მომიტანეს რომის დედის მკლაფზე გარდაიცვლილიყო. ამ საშინელი ამბით შეწუხებული და თავხარდაცემული გადავეხვიე ჩემ შვილს და მერმე გავეშურე მათთან, რომ მეტირნა საცოდავ სალომესთან ერთად. როცა იმ ქუჩაზე მივედა, რომელზედაც ისინი ცხოვრებდნენ, ჩემმა ბიჭებმა ძლიერს გაჭირვებით შეიძღეს გზის გაკვლევა ჩემი საკაცესათვის, ვინაიდან მათ სახლის გარშემო აღარებელი ხალხი შეგგუფულიყო, თუ მოტირალნი, თუ მოკვირქვილენი, თუ მოხარენი. როცა კარებს მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ ხალხმა გაიწვა-გამოიწია და გზა მისცა სახლში მიმავალ რაფდენიმე კაცის ჯგუფს, რომელსაც ხალხი გაკვირვებით, პატივისცემით და ცნობის მოყვარობით უცქეროდა. პირველი, რომელიც მე ამ ჯგუფში ვიციან, იყო სემიდას მამა, მაგრამ, ნაცვლად მწუხარებისა, რომელსაც მე მოველოდი აღმომეკითხა მის პატივცემულ პირისახეზე, დავინახე ღრმა რწმენის გამომეტყველება, ჩემ მიერ გაუგებარი საკვირველი იმედი. მასთან მიდიოდა სამი ღარიბულად ჩაცმული, უბრალო და გარგვანობით უშნო კაცი. ხოლო მათ მიყვებოდა მანტიით შემოსილი ვაკაკი.

მე შევაჩერდი მას, მაგრამ უცბად მოვაშორე თვალი, თითქო მზის ცხოველ სხივების წინ ვიდექ. მე შეჩვენებოდა, რომ უბღლი მი-

სი გაბრწყინებულია, რომ გვირგვინის მსგავსად შამორტყმია სხივები მის თმას, რომელიც მზრებზე ეყარა, როგორც ნაზარეთის მცხოვრებლების ჩვეულებაა. არ შემძლია გადმოგვცე, რა ვიგრძენე მე მის შეხვედის დროს. ეს მოხდა ერთბაშით: უძლიერესი მიწვილვლობაც, ვინაიდან მის სხეულის ყოველ ნაწილში გამოუთქმელი სიმშვენიერე იხატებოდა, დაფარული საოცარი შიშით, რადგან მის თვალთაგან გამოკრთოდა ელვარება, რომელიც თითქო მე მტვრად მაქცევდა. მე გაფრევი მას, თუმცა თვითონ არ ვიცოდი, სად მივდიოდი.

კარი გაიღო და მე დავინახე სემიდა: ის ესვენა ცხელარზე, რომლის გარშემო ერთო სანთლები და იდგა სუნნელოვანი ნივთიერებანი. იგი კიდევ მშვენიერი იყო, მშვენიერი ზეციერი სიმშვიდით; მაგრამ მისი შუბლი უფრო ფერ-მკრთალი იყო ზამბახზე, რომელიც მის ფეხებთან მოეყარათ და სიკვდილის ღურჯ ხელს დაეჩინა კვალი მის ჩაცვნილ თვალებზე, ლოყებზე და გაფითრებულ ტუჩებზე. სალომე მის ახლოს იჯდა მდუმარე, თითქმის გრძობა-დაკარგული,—ის, როგორც სჩანდა, ჩვენ ვერ გვაჩნევდა.

იიროსი, სემიდას მამა, დავარდა ცხელართან მდგომ უცნობის წინ, მოეხვია ფეხებზე და, უჩვენა რა მიცვალებულზე, მწარედ წამოიძახა: „უფალო! ასული ჩემი სიკვდილის ხელშია, მაგრამ, თუ ინებებ, გაცოცხლდება“.

მე ავთროლდი ამ სიტყვების გაგონებაზე, ჩემი გული თითქო მიეჭედა უცნობის თვითოეულ მოძრაობას. მან სემიდას ხელზე ხელი მოჭკიდა მიაპყრო მას თვისი ძლიერი მხედველობა და წარმოსთქვა: —აღსდგე, შვილო ჩემო“. ფუბლია! ის დაემორჩილა!—სემიდა წამოდგა თავის საწოლიდან, თითქო მას ეზმარებოდა უხილაფი, ხელი, მას თვალები აეხილა, ნაზი სიცოცხლის ფერი მოეფინა მის ტუჩებს, მან გაიშვირა ხელები და წამოიძახა: „დედილო!“ .ამ ძახილმა გამოაფხაზლა სალომე. დედაშვილი ათროლ ბუნნი ერთმანეთს ჩაეკონენ, ხოლო იიროსი მიწაზე განრთხმული ყოცნიდა იმის სამოსლის კალთას, რომელსაც

ემხნდა უჯალს და იმეორებდა: —რა უნდა ვქნა, რომ გემსახურო, რომ დავიძვეიდრო საუკუნო ცხოვრება?“—უნდა დაისწავლო და აღასრულო ორი კანონი სჯულისა: გიყვარდეს ღმერთი და კაცი.

ეს როგორც კი სთქვა, ის მიეფარა ჩვენგან, როგორც გამსჭვირვალე ნათელი აჩრდილი. მე კიდევ დანოქილი ვიყავი, რისთვის, თვითონ არ ვიცი. მე თითქო ძილისაგან გამოვერკვიე და შინ დავბრუნდი, დავტოვე ბედნიერი ოჯახი უმწვერვალეს სიხარულში, რომლის გამოსახატავად ჯერ არ გაჩენილა არც სამხატვრო და არც საწერი კალამი.

ვახშამზე მე ვუამბე პილატეს ყოველივე, რის მოწამეც მე ვიყავი. მან ჩაღუნა თავი და სთქვა: „შენ გინახავს იესო ნაზარეველი, —ეს სიძულვილის საგანი ფარისეველთა და სადუქეველთა, იროდიანთა და ტაძრის ამპარტავან ლევიტელთა. ეს სიძულვილი ყოველ დღე მატულობს, და მათი შურისძიება მის თავზე ჰკიდია; სიტყვა ნაზარეველისა კი—არის სიტყვა ბრძენისა, ხოლო სასწაულნი მისნი არიან სასწაულნი ქეშმარიტისა ღვთისა“.

—„რისთვისღა სძულთ იმათ ის?“

„იმიტომ რომ ის ამხილებს მათ ბიწიერებას და მლიქვნელობას. ერთხელ მე ვუყურე მას, ის ეუბნებოდა ფარისეველებს: —კუზონო, განგოზილნო, ნაშობნო იქედნეთანო! თქვენ აღებთ თქვენ ძმას მხარზე მძიმე ტვირთს, ხოლო თქვენ არ გინდათ თითის წვერითაც შეეხბოთ მას! თქვენ იხდით გადასახადს ბალახთა, პიტნისა და ძირაკისასა და მცირეთ ზრუნავთ გადაიხადოთ ის, რაც სჯულით და სარწმუნოებით სავალდებულო გადასახადია—ზართლმსაჯულება და მოწყალება. ამ სიტყვების აზრი ღრმად და ქეშმარიტი... ამ სიტყვებმა გააბრაზა ეს გულამაყი ხალხი და რიზონტი ძლიერ ჩამობნელებულია ნაზარეველისათვის“.

„მაგრამ შენ ხომ დაიფარავ მას!—წამოვიყვირე მე ცოვად: შენ აქ სრული უფლება გაქვს“. —„ჩემი უფლება ამ შფოთიან და მზაკვარ ხალხის წინაშე მოჩვენებაა და სხვა არაფერი, და მე კი სულიერად დავიტაჯვბოდი, თუ რომ წილად შემხვედროდა ამ ბრძენი კაცის

სისხლის დაღვრა“. ამ სიტყვებთან ერთად პილატე ძლიერ ღრმად ჩაფიქრებული ადგა და მეორე ოთახში გავიდა. მე დევრი მარტო შავ-ბნელ და აუტანელ მწუხარებით მოცული.

„პასექის დღე ახლოვდება. ამ საპატრიო დღესასწაულზე იერუსალიმში იკრიბებოდა. ურიასტანის ყოველ მხრიდან აურაცხელი ხალხი ტაძარში საღვთისწაულო მსხვერპლის შესაწირავად. ამ დღესასწაულის წინ ხუთშაბათს პილატემ მითხრა მე დალონებით:

—იესო ნაზარეტელის მომავალი ძლიერ უნუგეშოა. მისი თავი დაფასებულა და დღესვე საღამოს შეიძლება მისცენ ის მღვდელმთავრებს ხელში.

—ამ სიტყვების გაგონებაზე გამაჯროლა და ხელმეორედ ვკითხე: „მაგრამ შენ ხომ დაიფარავ მას?“

„შემიძლია მე ამისი ქმნა?“ — სიტყვა პილატემ დაღვრემილი სახით: — „ბედი, რომელიც პლატონმა უწინასწარმეტყველა თვის წარმოდგენილ მართალს, მგონია იესოს ექადება: ის იქნება დევნილ, დალატით მიცემულ და სასტიკ სიკვდილით დასჯილ... ამ გვარად დასცინიან ღმერთები მომავლადეთა სისუსტეს. — მოსვენების დრო დადგა, ის იყო, მივდევდი თავი თუარა, მაშინვე იღუმალმა სიზმრებმა მოიცვას ჩემი გონება მე ვხედავდი იესოს იმ გვარად, როგორაც სალომემ ამიწერა თვისი ღმერთი: სახე მისი ბრწყინავდა, როგორც მზე. ის მიმოფრინავდა ფრთეთა ზედა სერუბიმთა, რომელნიც ფიცხლად ასრულებდნენ მის ბრძანებას. შესდგა რა ღრუბელთა შორის, ის, როგორც ჰავდა, მზად იყო განსჯად კაცთა ნათესავისა, რომელიც მის ფეხთა ქვეშე შეიკრიბა ნიშითა მარჯვენისა თვისსა, ის ყოფდა კეთილთა ბოროტთაგან, პირველნი აღიოდნენ მასთან საუკუნო სიკაბუკით და ღვთაებრივი სიმშვენიერით გაბრწყინებულნი, უკანასკნელნი კი ცვიოდნენ ცეცხლის უფსკრულში, რომლის წანაშე არაა ცეცხლი ერევისა და ფლევეტონისა; და როცა მსაჯული, უჩვენებდა მათ კრილობებზე, რომელნიც ფარავდნენ მის სხეულს, და ეუბნებოდა მათ მრი-

სხანე ხმით: „მიზღვეით სისხლი, რომელიც მე თქვენთვის დავღვარეო!“ მაშინ ეს უბედურანი სთხოვდნენ მთებს, რათა დაეფარათ ისინი და დედამიწას, რათა ჩაენთქათ ისინი. ამოდ! ივინი გრძნობდნენ თავის თავს უკვდავად წვალბისათვის, უკვდავად სასოწარკვეთილებისათვის. ოჰ!, რა სიზმარია ანუ, უფრო ნამდვილ რომ ვსთქვა, რა განცხადებაა!...

როგორც კი ცისკარმა წითლად შეღება ტაძრის თავები, მე ავდექი, მაგრამ გული შიშისაგან კიდევ მეხუთებოდა. ფანჯარასთან დავჯექი, რომ გრილი ჰაერი მესუნთქა; უეცრად საშინელი ყვირილი მომესმო შუაგულ ქალაქიდან; წყევა—კრულვის ხმა, უფრო საშინელი, ვინემ აბოგოქრებულ-აღლევებულ ოკეანეს ღმუილი, მოდიოდა ჩემამდე. მე სმენად გადავიქეცი, გული საშინლად მიცემდა, შუბლზე ცივი ოფლი მასხამდა. უცბად შევნიშნე, რომ ეს ყვირილ-ღრიანცელი უფრო და უფრო ახლოვდებოდა, აურაცხელი ხალხის სიმძიმის გამო მარმარილოს კიბე, პრეტორში შესასვლელი, ჰკუთავდა. უცოდინარობის გამო სულ შეწუხებული მე ავდექი, ავიყვანე, ხელში ჩემი ვაჟი, შამოვანხურე მოსახურავის კალთები და გავეშურე ქმართან... როცა მივედი სამსაჯულოს შინაგან კარებამდე და გავიგონე შიგ ხმაურობა და ყვირილი, ვეღარ გავებდემ შესვლა, და მხოლოდ ფარდას ავსწიე...

რა დავინახე, ფულვია! — პილატე ზის თავის სამეფო სპილოს ძვლის ტახტზე მთელი იმ დიდებით, რომელსაც რომი ანიჭებს თავის წარმომადგენლებს; მაგრამ მიუღვამელ გამომეტყველებაში, რომლის სახის მიღებას ის სცდილობდა, მე წავიკითხე ძლიერი მღელვარება.

მის წინ ხელებ შეკრული, ძალით ტანი-სამოს-შემოხებული და შუბლ გასისხლიანებული იდგა იესო ნაზარეტელი, მშვიდი, გაჩერებული, მას სახეზე არ ემჩნეოდა არც აშპარტავნობა, არც შიში. ის იყო წყნარი, როგორც უმანკოება; მშვიდი, როგორც კრავი; მაგრამ მისი სიმშვიდე გულს მივსებდა მე შიშით და საოცრებით, ამიტომ რომ მე კიდევ მესმოდა ჩემი სიზმრების სიტყვები: „მიზღვეით სისხლი, რომელიც მე თქვენთვის დავღვარე“.

მის გარშემო ჰპორგავდა საზოგადოებრივი ბრბო, რომელსაც მოეყვანა ის სამსახულოში; ბრბოს შეერთებოდა რავადენიმე დარაჯი, სამღვდლონი და ფარისევლონი შეუპოვარნი და კადნიერნი. მათი გამოცნობა აღვლი იყო იმ რუქით სხვადასხვის ჯულის ტექსტების, ზე წარწერით რომლებსაც ისინი ატარებდნენ შუბლზე. ყველა ეს საშიშარნი პირნი სიძულვილით იყვნენ აღვსილნი, თითქო ჯოჯოხეთის ალი ბღღრიალებდა მათ თვალებში და ბოროტნი სულნი ტენარისა უერთებდნენ თავიანთ ხმებს იმათ მძვინვარე, გაშმაგებულ ცოფმორგულ ყვირილს.

(შემდეგი იქნება).

ბრბომანდრიტი ნესტორი.

მარხვა

(მარხვა, არა მხოლოდ ჭამაღათაგან შემოსისზღვრებას).

სჯული ამას გვეუბნება,
 ასე უთქვამს მაცხოვარსა:
 „არა რომ გინდა სხვათა გიყონ,
 შენც უყავი იგი სხვასა.“

განოტე ავბორცობა,
 მწიკვლი, ვნება, ღელვა გულის,
 ხსოვნა გქონდეს მონანებით
 ერუთხელ დემს დაქარგულის.

მტრობა, შური, თავხედობა,
 მოყვისი კიცხვა, ღალატი მის
 გულისაგან აღიხოცე,—
 ნუ თუ ესეც არა ძალგისწ...
 —

გაძნობა წმინდა, სული წრფელი
 და სპეტაკი გულის ზრახვა,
 ცრემლი ქმნილთა ცოდვათათვის,
 აი—ქეშმარიტი მარხვა!...

რ. საჯავახოელი.

სამღვდლოების ავ-კარგი

(წერილი შეთხვე).

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, სამღვდლოების ყბად აღებული დრამის მოწეს-რიგებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო მთავრობამ, რათა სასულიერო სასწავლებლების შენახვა ეკისრებიათ მისათვის. მართლაც, რა წამს სამღვდლოების ხელში ფული გაჩნდა, გადასახადიც თან მოაყოლეს, მაგრამ ეს ისე ოსტატურად მოხდა, რომ სამღვდლოება თითქმის მადლიერიც იყო მთავრობისა, რადგან უმეტეს ხარჯს ამ სასწავლებლებისათვის ვითომდა მთავრობა იძლეოდა. ბევრმა დღესაც არ იცის, თუ რომელი წყაროდან ინახება ჩვენი სასულიერო სასწავლებლები, და მაშინ ხომ ცოდნით, შეიძლება ზოგიერთმა იცოდნენ, მაგრამ ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა? პირიქით, როგორც ვსთქვით, მადლიერიც იყვენ, რომ მთავრობა ასე მუყაითად ზრუნავდა სამღვდლოების შეილების განათლებაზე. თვალეების ასახვევად სამღვდლოებას ცოტა რამ უფლებაც მიანიჭეს, რომლის ძალით მის დღესაც ხმა აქვს ამ სასწავლებლების მდგომარეობას შორი-ახლოს აღვენოს თვალი და მარტო ოდენ ნივთიერ მხარეს შევხოს, მხოლოდ შევხოს. ერთ დროს ზედამხედველებსაც კი სამღვდლოებას არჩევინებდნენ. აქედან იწყება სამღვდლოების დეპუტატების კრებათა ისტორია. ამ კრებათა სიაყარგეს ჩვენ განზრახვა გვაქვს ცალკე წერილი ვუძღვნათ. მხოლოდ ამ წერილში ისევ სასულიერო სასწავლებლების შენახვაზე მოგახსენებთ და მათ უკუღმართობას აღვნიშნავთ.

არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ მთავრობა ჩვენში გარუსების პოლიტიკას აწარმოებს ყოველ სფერაში და განსაკუთრებით შკოლებში. დღევანდელი ჩვენებური შკოლები პირველი საშვალეა ამ მიზნისათვის და თანაც ისეთი, რომ გვერდს ვერ შეუვლი. ხალხს სწავლა სწყურია, თავისი ეროვნული შკოლა არ გააჩნია სიღარიბისა, თუ ქართველური დაუდევნელობისა გამო და ძალაუფლებურად რუსულ შკოლას ეტანება, საიდანაც

განვითარებული ადამიანების მაგიერ მახინჯებს ვლებულობთ, რომელთა სული და გული მოშხამულია და გამოუსადეგარი მშობელი ერის სამსახურისათვის. ეს საზოგადო მოვლენაა. მაგრამ უარესი უკუღმართობაა სასულიერო სასწავლებლების ცხოვრებაში. არა გჯერათ? ყური დაუვლეთ და დარწმუნდებით.

როგორც ვიცით, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების დანიშნულება ეკლესიის მსახურთა მომზადებაა. მათი მიზანია მისცეს ხალხს განვითარებული მოძღვარი, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი ხელმძღვანელი და დამრიგებელი, ღრმად განსწავლული საღმთაოწერილისა და საღვთისმეტყველო სმკნებში, მაგრამ რას ვხედავთ? არც ერთი, და არც მეორე. სამშობლო ნიადაგს ფეხსხლეტილი მოსწავლე ჩვენი ახალგაზდობა სრულებით არ არის მომზადებული თავის დანიშნულებისათვის. შკოლა მას არ აძლევს არც ერთ საფუძვლიან ცოდნას. მან არ იცის თავის ერის ისტორია, არც საეკლესიო და არც სამოქალაქო; არ იცის სამშობლო ენა და არა აქვს შესწავლილი ფილოსოფიურად საღმთაოწერილიც კი, ამ გვარი ცოდნის პატრონი, რა მოძღვარი უნდა იყოს? რა გასაკვირველია, რომ ხალხმაც ამისთანა მოძღვარი არ მიიღოს და აკი „სოფელმაც ვერ იცნა“ იგი? ხალხს მისი არაფერი ესმის და მას ხალხისა. სამშობლო ენაზე ერთს გულის მოსაფხან სიტყვასაც ვერ იტყვის. უცხო ენაზე შეჩვეული მსჯელობს, საუბრის დროს ერთი მეორეში ღომხალივით ურევს ქართულსა და რუსულ სიტყვებს და თუთიყუშივით გაიზებირებულ სასწავლო საგნებიდან აღარაფერი რჩება სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსადეგი.

ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, (თუმცა ამას დამტკიცება აღარ სჭირდება) აქ მოვიყვანთ მოსწავლე ახალგაზდობის მუსაიფის ნიმუშს და აქედან მკითხველი ადვილად მიხვდება, რა განსაცდელშია ჩვენი დედაენა და რაგვარ შებიღწულია მისი სიწმინდე.

მე დღეს „დეტურნათ ვიკავი“, „მიშაშა“, ეუბნება დედას თავისი შვილი, და მეოთხე

უროკზე“ „ზაკონო უჩიტელმა“ მადლობა მითხრა, რადგან „მალიტვაც“ კარგად წივიკითხე. მე „ზაკონ-ბოჟსაც“ სულ „პიატებზე“ ვსწავლობ: ხვალისათვის „პეტარენიე“ მოგვცა, მაგრამ მე წაკითხვაც არ მინდა, и такъ хорошо знаю! მიაყოლა 12 წლის ვაჟმა და კარებში გაეფარ და სიხარულით. მისმა სიხარულმა მე გულზე მიკბინა და გაფითრდი.

—შენ, შვილო, რა ჰქენი დღეს? ხომ არ დაგსაჯეს? მიუაღერსა დედამ მეორე უნცროს ვაჟს, სასწავლებელში ახლად მიბარებულს.

—არა. მე, დედა, მართლა ხელ მორიგედ უნდა ვიქნე! მასწავლებელმა გვიტხრა, ლოცვა მორიგემ უნდა წაიკითხოსო და ხვალისთვის საზეპიროდ მოგვცა: „მეუფეო ზეცათაო...“ და ამ დროს წიგნსაც წამოავლო ხელი. კითხულობდა და დედაც სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს. მე კი შავმა ფიქრებმა წამიღეს და ჩემთვის გულში ვამბობდი მოიცადე, ჯერ აღრე! მაგ სიამოვნება შხამად გადაგექცევა, როცა ეგ შენი უმანკო შვილიც იმ პირველივით ლოცვას „მალიტვათ“ მონათლავს მასწავლებელს „უჩიტელათ“ გაგაცნობს და მორიგეს-„დეტურნათ“ ვფიქრობდი და ჩემდა უნებურად რუსის პოეტის სიტყვები ენაზე მადგებოდენ: „О, дѣти, дѣти, какъ опасны ваши лѣта!“ ოღონდაც! ესტკვი მე და ჩემს გზას გაუდექი საქამზე. წინ ორი ახალგაზდა, მოსწავლე ქალ-ვაჟი მიმიძლოდა. როცა დაუახლოვდი, ყური მოვკარი, რომ ქალი-ეუბნებოდა ვაჟს:

—„ნეუფელი“ შენ არ გცემის, რომ „ტაკ აბრაშატსია ბარიშენ“ არ შეიძლება! „გეშნა-ზისტები“ ყველა ასე ხართ....

—„გიმნაზისტები“ რაღა ყოფილხართ!? შენი მეგობარი რომ არის „ანიჩკა“, ფიცით „აბეშალა“, რომ მოვალო, მაგრამ „ამმანულა“.... ამ გვარია საერთოდ ჩვენი მოზარდი თაობის სიტყვა—პასუხი შინ და გარეთ, ასრულებული ქართულ-რუსული სიტყვებით, და ადვილად მისახვედრია ამ გვარ ენის პატრონთაგან, რა სიკეთე უნდა გამოვიდეს, რა საზოგადო მოღვაწე უნდა დადგეს და რა მა-

მულისშვილობას უნდა ველოდეთ მათგან? მაგრამ განა მარტო ისინი არიან ამაში გასამტყუნარნი?—არა. ამაში მეტი წილი ისევ ჩვენა ვართ დამნაშავე. ჩვენ ვაძლევთ ახალ-თაობას ცხოველ მაგალითს, რომ ისედაც პატივ-აყრალი სამშობლო ენა შინაურიდგანაც და უცხოდგანაც მასხარად აგდებულია და დაბეჩავებული. რომ ეს ასე არ იყოს, ვერც „გოსტარგოვები“ და ვერც „უსტინოვიჩები“ ვერ გაბედავდნენ ქართული ენის აფად ხსენებასა და შეურაცხყოფას, მაგრამ ყველასათვის ცხადია ჩვენი გულ-გრილობა სამშობლო ენისადმი, ყველა კარგად ხედავს ჩვენს მონურად შეგუებას ყოველგვარ გამათახსირებელ პირობებთან და ამიტომაც ქართველი ერის უფლება, მისი ეკლესია ზნე-ჩვეულება მიწასთან გასწორებულია ვიგინდარებებისაგან.

საზოგადოთ ჩვენ, ქართველებს, ერთი დამღუბველი თვისება გვქირს. ყველაფერში გვაკლია მონდომება, საკუთარი მოვალეობის შეგნება და თაოსნობა. გვიყვარს სხვისი იმედით ცხოვრებადა, როცა ეს სხვა ჩვენს გემოზე არ გვიკეთებს შილა-ფლავს, ვბუზღუნობთ... ვემდურით მთავრობას, რომ ჩვენს შეილებს ქართულ ენას არ ასწავლის და ჩვენდა სასარგებლოთ არ გვიწვრთნის მათ. ახირებული გულუბრყვილობაა, მეტი რომ არა ვსთქვით განა ჩვენ თვითონ როდისმე გვიზრუნვია ამაზე? განა ჩვენ თვითონ გვიმატადი ნია, რომ შკოლის გარეშე მაინც შეგვესწავლა სამშობლო ერის ისტორია, ენა და ზნე-ჩვეულება? ან როდისმე მოგენდომებია, რომ საკუთარი ძალით რაიმე კულტურულ-განმანათლებელი კავშირი შეგვეკრა? არასოდეს წერა-კითხვის საზოგადოება, თეატრი და ესა და ისაო, მეტყვიან. თავის მოტყუებაა, მეტი არაფერი. ყველა-ამათში მე უსიცოცხლო ცოდვილობის მეტს ვერაფერს ვხედავ.

დიახ, ფრიად სამწუხარო და თან სატირალიც მოვლენია. მაგრამ ვგრძნობთ ამას ჩვენ? ან ერი, ან ბერი ვეწინააღმდეგებით ამ უკუღმართობას მთელი ჩვენი არსებით? სრულიად არა. პირიქით, ისე შევჩვევივართ, რომ უკეთესი ვერც კი წარმოგვიდგენია.

საქმე რომ მარტო ამით თავდებოდეს, ჩვენი გონება აუცილებლობის მიზეზით როგორმე კიდევ შეურიგდებოდა ამ უკუღმართობას და გასამართლებელ მიზეზებს უპოვიდა ცხოვრებაში, რადგან ერთი შეხედვით საერო სასწავლებლებთან შედარებით სასულიერო სასწავლებლებს ცოტადენი უპირატესობა მიუძღვით სამშობლო ენის შესწავლაში. აქ იმ თავიდანვე ქართული ენის შესწავლას ადგილი აქვს დამოძილი, მაგრამ როგორ და რაფრად ხდება ეს შესწავლა, მკითხველს მოეხსენება. უეჭველია, ისიც მოეხსენება, რა თქმა უნდა, რომ სასულიერო სემინარიამ აღზარდა და მისცა ჩვენ ხალხს ბევრი კაი საზოგადო მოღვაწე და შესამჩნევი მწერალი. დიახ, ეს უტყუარი ფაქტია, მაგრამ იგი თავის თავად არაფერს არ ღაპარაკობს და ამ სიკეთეს სასწავლებელს სრულებით ვერ მივაწერთ. აქ ყველაზე უმეტესად სკოლის გარეშე შეძენილ ცოდნას აქვს წინაშენლობა და ამ მოღვაწეთა და მწერალთა უმაღლეს ნიჭს, რომლის ძალით მათ გადალახეს სკოლის სიღუბესი და ცხოვრების სასარგებლო წევრნი შეიქნენ. ვინ იცის, უკეთეს პირობებში რა იქნებოდნენ ესენი?

მაგრამ უბედურება მარტო ამაში როდია. არც ვგონებ, რომ სხვაგან კიდევ ხდებოდეს ამგვარი რამე, რასაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი სასულიერო სასწავლებლების შენახვაში. ჩვენივე ხარჯით საკუთარი ხელით ვიღესავთ დასაკლავ დანას და ამაზე ხმასაც არავინ იღებს. მეტი გათახსირება იქნება? აი საქმე რაშია.

მესამოცე წლებში საქართველოს ეკლესიას ჩამოართვეს ძვირფასი მამულები და მათ საფასეთ რაღაც გროშები გადმოუგდეს სამღვდლოებას. ამ გროშებს მთავრობა აძლევს სამღვდლოებას ყოველ წლიურად დიდის დამადლებით სასწავლებლებისა და სემინარიის შესანახავად და ჰგონია თავისას ხარჯავს. თუმცა კანონით რუსეთის სახელმწიფოში ყველგან ამ გვარი სასწავლებლები სახელმწიფო ხაზინის ხარჯით ინახება, მაგრამ ჩვენ რის ქართველები ვართ, რომ ჯამ კანონი-

დან გამოწვევის არ შევადგენდეთ? დიხს, კანონით ამ სასწავლებლებს ჩვენში სახელმწიფო ხაზინა უნდა ინახავდეს, და ეს სამართლიანი იქნება, რადგან ისინი მთავრობის პოლიტიკას ემსახურებიან და არა ჩვენს საქროებას; მაგრამ ჩვენ კი ვინახავთ ჩვენი საკუთარი ჯიბით. მაგალითად ავიღოთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რომელზედაც ყოველწლიურად მთავრობა ხარჯავს საეკლესიო, და არა სახელმწიფო, ხაზინიდან 8000 მანათს იმ 30000 მანეთიდან, რომელიც იმერეთის სამღვდლოებს ეძლევა ხაზინიდან მამულების ფასად. დანარჩენს სამღვდლოება ასწორებს და ამ ოთხი-ხუთი წლის წინად სამი ამოდენს ადებდა სამღვდლოება თავის საკუთარი ჯიბიდან. ამ მამულებში გადმოცემული ფულებით ინახებოდა იმერეთში და სხვაგანაც, სასულიერო-სასწავლებელი, ეპისკოპოზი, მისი კანცელარია, საკათედრო სობორი და სხ. ჩვენ გვინდა ამაზე მივაქციოთ საზოგადოების. აი, ეს გარემოება უნდა იპყრობდეს სამღვდლოების ყურადღებასაც, ენერგიულად სცდილობდეს იგი ამ ფულების განთავისუფლებას მთავრობის აპეკისაგან და თავის შეხედულობისამებრ მოიხმაროს იგი წმინდა სარწმუნოების საქმეზე და საქროებაზე. ჩვენის აზრით, საზოგადოებას პირდაპირ უნდა აქვს ხმა ამოიღოს ამის შესახებ და საბუთიანად დაუმტკიცოს მთავრობას, რომ არათუ დღეს არსებული თანხის განთავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, არამედ მამულების ხელახლა შეფაფებაზე და ფასის მომატებაზედაც. აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლოების მაგალითი წინ გვაქვს, რომ სომხების არ მოვიხსენიოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმერეთის სამღვდლოებამ ამას მიაქცია ყურადღება შარშანწინ და ერთ თავის კრებაზე დაადგინა, რომ ამის შესახებ ეთხოვოს მთავრობას და ვეჭილად დეკ. დ. ლამბაშიძე აირჩიოს. მაგრამ დღეს რა მსვლელობა აქვს სმქმეს არავინ იცის. აღიძრა შუამდგომლობა და საქმე სწარმოებეს, თუ ჯერ იგი ისევ მარტო გუნებაში არსებობას, როგორც სხვა ბევრი რამწი ჩვენ

დანამდვილებით ვიცით, რომ ამაზე ყოველდღეს სამღვდლო ლეონიძემაც გაგზავნა მოხსენება სინოდში, მაგრამ იგი უხერხულ დროს იქნა აღძრული, როცა რუსეთში არეულობა იწყებოდა, და, ვგონებთ, არც კი მიუხვევია სადაც ჯერ იყო. საქროა კითხვა განახლებულ იქნას და ამისათვის შესაფერისი კაციც მოეძებნება სამღვდლოებას, თუ კი იგი ენერგიას მოიკრებს, საქმეს პირდაპირ შეხედავს და ჩვეულებრივ სხვის მოიხედვით და ხელში შემეჩრდარ იქნება. ღმერთმა ინებოს!

ამ გვარად საქართველოს სამღვდლოებამ ორნაირად გადღეტილია: თავის ხარჯით იმას აკეთებინებენ, რაც მისთვის არც სასარგებლოა და არც სასურველი. სკოლებში გამეფებულმა პოლიტიკანობამ, უდიერობამ და ეროვნულმა დევნამ შექმნეს ისეთი გარემოებანი, რომ სამღვდლოებამ შეიძლება თავისივე სკოლები, ზურგი შეაქცია მათ და საერო სასწავლებლებს მიაშურა. დღეს არც ერთი ნასწავლი მღვდელი, რომელსაც თავის თავზე გამოუცდია ამ სასწავლებლების სისაძაღლე და თვითონ უნახავს მათი გემო, თავის შვილს ამ სასწავლებლებში აღარ აბარებს, თუმცა მათ შენახავს ხარჯსადა-უნებურად ეწევა. იგი თავისი სიღარიბის წინ უსწრებს, წლებზე ფეხს იდგამს და თავის შვილებს საერო სასწავლებლებში, კლასიკურ და რეალურ გიმნაზიებში, აბარებს და ამით ჰგონია სიკეთეს უშვება თავის თავსა და ქვეყანას. სწორეთ ამის მიზეზით დღეს სასულიერო სასწავლებლები და თბილისის სემინარიის დღეს მოსწავლე ახალგაზღობით გამოქედილი (ჩემს დროს 600 მოწაფე სწავლობდა), დღეს დაცარიელებული გამოიყურებიან და მოწადინებული ელიან მუშტებს. მაგრამ ამაოღ. მაგალითისათვის ავიღოთ იგივე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც მეოთხმოცე წლებში 600 მეტი მოსწავლე სწავლობდა შიგ, ხოლო დღეს კი 200 ძლივს აღწევს. ესენი არიან უკიდურეს ღარიბ ეკლესიის მსახურთა შვილები, რომელნიც უღმობელმა გარემოებამ შემორეკა აქ: მხოლოდ შემდეგ რაკი თვითონვე გაეცნობიან ამ სკოლებს.

ლიახ, ფრიად დამაფიქრებელი მოვლენაა! ამას უნდა ჩაუყვირდეს სამღვდლოებაცა და ერიც. ჩვენის აზრით, სამღვდლოება ღრმად შემცდარია; იგი თავის შვილებს პურის მაგიერ ქვას აწვდის, როცა საერო სასწავლებლებს ისაკენ აგზავნის მათ, ამით თავის შვილების მომავალ ბედნიერებასაც სიყალბეზე აშენებს და თავის ერსაც ღალატობს, რადგან ხალხს უკარგავს ეკლესიის გულშემატივიარ მსახურთ სამღვდლოებას არ შეშვენის ეკლესიას უღალატოს და ხალხს მოაკლოს განათლებული მოძღვარი მარტო იმ მიზეზით, რომ დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ კეთილდღეობისათვის. საზოგადოებამაც უნდა შეიცვალოს თავისი შეხედულება მღვდლისა და ეკლესიაზე; უნდა შეიგნოს, რომ ქრისტეს ეკლესია და მისი მსახურნი მისთვის ისეთივე საჭირონი არიან, როგორც პური და მიწა-წყალი, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, თუ არ უნდა რომ ვაითქვიფოს სხვა ეროვნებაში, და თავისი არსებობა თვითონვე მოისპოს თავის ხელით. ეკლესია დღეს მისთვის ერთადერთი საიმედო ნავთსაყუდელია ეროვნების შესარჩენად, სხვა რომ არა მოვიხსენიოთ რა ამაზე მმართველს შეგნებულ საზოგადოებას დაფიქრება და მეტი ენერჯისი გამოჩენა. იგი ასე გულ-გრი ლად არ უნდა ითმენდეს ეკლესიის დამცირებას და განადგურებას. სამღვდლოებას იგი წურგს უნდა უმაგრებდეს სიტყვით და საქმით ჩვენი ეკლესიის შესახებ საქმეებში და თავგამოდებით თხოულობდეს შესაფერად აღზრდილსა და განვითარებულ ღირსეულ სამღვდლო კანდიდატებს. ეს მოთხოვნა დაბადებას სამღვდლოებაშიც ხალისს მიიწოდოს ხალხს ქეშარიტად აღზრდილი მოძღვარი და ხელმძღვანელი. სამღვდლოებამაც უნდა მოიბრუნოს პირი და შეუდგეს თავის შვილების აღზრდას ეკლესიისა და ხალხის სასამსახუროდ.

მთელი საქართველოს სამღვდლოება უნდა შეერთდეს, ჩვენის აზრით, და დაიარსოს ერთი იმისთანა საშუალო სასწავლებელი, რომელიც მისცემს საქართველოს ეკლესიას

სამშობლო ნიადაგზე აღზრდილს სამღვდლო კანდიდატებს, რომელთაც საშუალო განათლებასთან ცხოვრებასა და მღვდლოებაში გამოსადეგი ცოდნა ექნებათ შეძენილი.

რა თქმა უნდა, ამ გვარი სასწავლებელის დაარსება დღევანდელ პირობებში ძნელია, მოუხერხებელი, მაგრამ პირველად იგი კერძო უფლებო სასწავლებელიც, რომ იყოს, წუნდასადები არ არის. ან დათუ სამღვდლოებას მაინცა და მაინც არა სურს მთავრობის აპეისაგან გამოვიდეს როდისმე, დაუბრუნდეს ისევ დღეს არსებულ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიის და რასაც იგი საერო სასწავლებლებში ხარჯავს თავის შვილებზე, მოახმაროს იმავე შვილების განვითარებას უკოლის გარეშე. ამით ორ საქმეს გააკეთებს. უფლებასაც მოუპოვებს თავის შვილებს და საჭირო ცოდნასაც შეძენს.

აი ჩვენი აზრი მოკლედ და სქემატიურად ამ საგანზე. საზოგადო, როგორც მკითხველიც შენიშნავდა, ჩვენ ვრცლად არც ერთს საგანზე არ ზწერთ. ჩვენ მხოლოდ, რაც შეიძლება მოკლედ ვეხებით დღევანდელ საქირ-ბოროტო კითხვებს და ამის იქითაც ასე განვაგრძობთ. ხოლო ვისაც მეტის გაკეთება შეუძლია და ღრმა ცოდნა აქვს, ა ბურთი და ა მოედანი. ჩვენ პირველი შეუწყობთ ხელს და დავეხმარებით.

Janius.

პასუხად ბატონ ბაჭითელსა.

1) მერვე ნომერში თქვენ გიწერათ ასე: „მოსხედენ“ უნდა მათ შეუფუფას კადასწორთოს მოხედეთ. რისთვის, არ ვიცი. როგორც კამიგია, „თ“ შემდეგ დროის შესრდილდა, ძველ ენაში მას ადგილი რადი ქონდა...“ როცა სწერდით „ძველ ენაში“, რა თქმა უნდა, სახეში გეკნებოდათ ძველი ენა იმ დროისა, როცა საღმრთო წერილი დაიწერა, რადგან ამ ენის შესახებ გვაქვს ჩვენ ლაპარაკი. თქვენი სიტყვით, ბრძანებითი კიდოს მრავლობითი რიცხვის მეორე პირი თანით არ ბოლოდებოდა. ეს ცხადი შეცდომაა, აიღეთ საღმრთო წერი-

ლი და საზოგადოდ უუძველესი ხელნაწერები; იქ ბრძანებითი კილოის მრავლობითი რიცხვის შეორე ზირო მიუღამ თანით ბოლოვდება, ხართ კი ძლიერ იშვიათად, ოცჯერ თუ ხარია, ოციათასჯერ თანია.

2) შერვე ხომერშივე თქვენ სწერთ: „მოხედენ არის ბრძანებითი კილო, მაგრამ თან ზრდილობიანი.“ ესეც დიდი შეცდომაა. როცა ზრდილობიანად უნდათ ბრძანება, მაშინ მრავლობით რიცხვს ხმარობენ. ამას გარდა, თუ მხოლოდ ხართ დაბოლოებული არის ზრდილობიანი, მაშინ მაცხოვრის სიტყვები: „მიიღეთ და სტამეთ... მიჭხედეთ მიფრინველთა... და სხვანი მრავალნი ზრდილობას მკვლელები უოთიდან, და მთელი საღმრთო წერილი, რომელიც სავსეა ბრძანებითი კილოთ თანით დაბოლოებულია, არ უოთილა ზრდილობიანად დაწერილი. 3) გრამატიკული კანონი ენის გამოიყვანება ასე: მიხედავენ იმას, თუ როგორ ითქმის საზოგადოდ ან მომეტებულ შემთხვევებში. საზოგადოდ საღმრთო წერილი და უუძველეს ნაწერებში ბრძანებითი კილოის მრავლობითი რიცხვის შეორე ზირო ბოლოვდება თანით, ხლო ძალიან იშვიათად ხართ, ოცჯერ რა ხართ ბოლოვდება, ოციათასჯერ თანით ბოლოვდება. მაშასადამე კანონი ასეთი უოთილა: ბრძანებითი კილოის მრავლობითი რიცხვის შეორე ზირო ბოლოვდება თანით, და ამ კანონს უნდა გამოჩინებოდეთ მიუღამ. გამოხატვისები საერთო კანონს ვერ დაარღვევენ. 4) „მოხედენ“ — მხოლოდბითის რიცხვისა; „მოხედენ“ — მრავლობითისა. „გახაროდენ“ — მხოლოდბითის რიცხვისა; „გახაროდენ“ — მრავლობითი და ეს ხომ ენის სიღარიბეს მოასწავებს, რატომ არ უნდა განვსრფავთ დაბოლოებანი, როცა გვჭვს სრული შეძლება?

5) ჩვენ უნდა გვცადოთ ვიხმაროთ საკვლისო წიგნებში ის სიტყვები და ფორმები, რომლებიც ძველად იყო, და ახლანდელ დიკტირატურულ ენაშიც იხმარება, ე. ი. სამარადისო სიტყვები და ფორმები. ძველად ბრძანებითი კილოის მრავლობითი რიცხვის შეორე ზირო თანით ბოლოვდება და ახლაც ასე ბოლოვდება; მაშასადამე „მოხედეთ“ უნდა. აგრეთვე „ურთიერთსა“ სწობთ.

6) წირვა — ლოცვა იმისთვის კი არაა დაწესებული, რომ მასში უუძველეს ენის ფორმები შენახული იქნეს და იმით შეისწავლონ ძველი ენა, არა ამისთვის არის შეცნიერება, არსებობს. ლოცვა კი უველასთვის გასაკები უნდა იქნეს.

7) ჩვენ ხელს იმდენად სლად გონება გავქვს, რა კვლევისადმი გულგრილობა რა გზა აგდოს და იმის საქმეებით დაინტერესდეს, მაშინაც ხარისხამა არ ამოეთდება, რადგან მიხვდება, თუ რას აქვს მიაშენებლობა.

8) რატომ არ გვისამოფნებთ „მოხედეთ“, როცა უუძველეს კონდაკებში ასეა?

9) კარგი, ძველი ფორმები ახლად ფორმები არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ ეს მითხრათ: ჩემ მიერ ნაჩვენებ სიტყვები და ფორმები განა უუძველეს მწერლობიდან არა ამოღებულია? სავარაუდოა, თქვენ ძველ ენის სხელით უარყოფთ იმას, რაც უუძველეს მწიგნობრობიდან არის ამოკრებილი!

10) მართალია, ერთი კვლის მისშით დაუნებულ საკითხების გადაწყვეტა დიდ კაღიერებად უნდა ჩითვალოს. ამიტომაც ჩვენ გადავთავადაკეთ უუძველეს ნაწერებთან ერთად ძველი კონდაკები, ვუჩვენეთ მკითხველებს უახსენელთა განსხვავებანი, გამოვთქვით ჩვენი აზრი და შევეკითხეთ ეკლესია: აბა როგორ სწობთ? ჩვენ რა ზიარდამირ შეგვესწორებინა კონდაკი, წარგვედგინა მთავრობისთვის და გვეთქვა, აი დაბეჭდეთ ეს, მაშინ ჩვენის მხრით კაღიერება იქნებოდა.

11) უუძველეს მწერლობაში ბრძანებითი კილოი მრავლობითი. რიცხვის შეორე ზირო ზოგჯერ ბოლოვდება „ნითა“ მაგ. ათონის აგერიის მონასტრის მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერში: 192 კვ. — განუუჩენით ეშაკთა მონებისა; 193 კვ. — შეეწიენით მაცას; 197 კვ. — შეფუცენით ქე. სახარება 913 წლისა, მათესი, 6 თავი, 26 მუხლი — მიჭხედენით მიფრინველთა. სიბრძნით აღემართენით.

12) რუსეთის ეკლესიაში არეულობა გამოიწვია, სხვათაშორის, საკვლისო წიგნების ცუდად შესწორებამ კი არა, არამედ კეთილსინიდიისიერად. რუსეთის ეკლესიას რაში შეშინებოდა განხეთქილებისა და წიგნების შესწორებაზე ხელი აეღო, მაშინ მასში ახლაც დამახინჯებული

იქნებოდა საეკლესიო წიგნები, და აღილუის მხოლოდ ორჯერ წარმოსთქვა მდენ, და არა სამჯერ. 1616 წელს შეფუ მიხეილ თეოდორესკემ საეკლესიო წიგნების შესწორება მიანდა არქიმანდრიტს დიონისის, მდღევას ივანე ნასედას და ბერს არსენ გლეხოსს. ესენი შეუიითად მუშაობდნენ და ბევრი შეცდომები აღმოაჩინეს. მაგრამ ბერი ღონგინოზ კორავა, თილარეტი და სხვანი, რომელთაც არავითარი ცოდნა არ ჰქონდათ, გაიძახდნენ, რომ იმათ საეკლესიო წიგნები წახდინეს, და შემსწორებლებს ბევრი მწუხარება მიაყენეს. როცა შემდეგ განაგრძეს შესწორება, გამოჩნდნენ ამის დიდი მოწინააღმდეგეები დეკანოზები: ივანე ნერონოვი, აშაგო მდღეული, ნიკიტა ზუსტასვიათი, ეპისკოპოსი ზაფლე და სხვანი, რომელნიც ძლიერ ვაწრო მსოფლმეფეულამის იყვნენ, და თანაც უზომო თავმოყვარეობითა და შურინაობით იყვნენ შეზღუდული. აა ამათ თავის უნიანობისაგანმ ხალხში გაავრცელეს ხმა, რომ საეკლესიო წიგნები გააფუჭეს, და განეშორენ ეკლესიას.

ეპისკოპოსი დავითი

† პროტოდიაკონი ლუკა ხოშტარია.

27 მარტს, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა პროტოდიაკონი ფოთის საკათედრო ტაძრისა ლუკა ბესარიონის ძე ხოშტარია. განსვენებული მღვდლის შვილი იყო. ხნით 50 წლისა. სწავლა დაასრულა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში 1874 წ. 1878 წელს ის იქმნა განწესებული მედავითნეთ ფოთის ბერძენთა ეკლესიაში. 1882 წ. გადაყვანილი იქმნა ბათუმში იმავე თანამდებობაზე. 1887 წელს იგი ისევ გადმოყვანილი იქნა ფოთში, საკათედრო სობოროში ეპოდიაკონის ადგილზე, ხოლო 1889 წ. დაინიშნა პროტოდიაკონათ იმავე სობოროში.

31 მარტს დანიშნული იყო მ. ლუკას დსკრძალვის დღე, დილის 7 საათიდან მოაწყდა მისს სახლს აუარებელი საზოგადოება. 8 საათზე მოვიდა ფოთის საკათედრო სობოროს კრებული დეკანოზ მ. არსენ თოხაძის მეთაურობით. მცირე პანაშვილის შემდეგ დეკანოზმა მ. თოხაძემ მიმართა მიცვალებულს

მოკლე და გრძნობიერი სიტყვით, რომელშიაც დაახასიათა, მ. ლუკა როგორც სიმბატური წვერი კრებულისა და აშხანავი, და ფოთის სამღვდლოების სახელით უძღვნა მას მაცხოვრის ხატი. ათის ნახევარზე მობრძანდა ყოვლად სამღვდლო ლეონიდე, რომლის წინ მოვიდა მიცვალებულის სახლში, სხვათა შორის, ქუთაისის კათედრის პროტოდიაკონი მ. ბ. კუხიანიძე, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ქუთაისიდან მიცვალებულის პატივსაცემლათ. მცირე პანაშვილის შემდეგ გაასვენეს ფოთის საკათედრო სობოროში, სადაც მწირველი იყო მისი შეუფება. ეკლესია და მისი ეზო სავსე იყო ხალხით. ანდერძის აგების შემდეგ მიცვალებული წაასვენეს ნახუტურუს სასაფლაოზე ანდერძის აგების წინ კათედრის მღვდელმა მ. იოანე ბოზობიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა

„იყო დრო, როდესაც პროტოდიაკონი ლუკა ხოშტარია შეადგენდა ჩვენის კრებულის მშვენიერებას, როდესაც მ. ლუკას ბოხი ხმა ქუხილივით გრგვინავდა, როგორც აი ამ კათედრიდან, როგორც უმთავრესად აი ამ წმ. ტაძარში, აგრეთვე გურია-სამეგრელოს ეპარხიის სხვა ეკლესიებში, — როდესაც მ. ლუკას მძლავრი და ღმობიერი ხმა ამკობდა მღვდელმთავრის წირვას და იზიდავდა ეკლესიაში მლოცველებს. მაგრამ დროთა ვითარებაში, ოჯახის უბედურებამ, საყვარელ არსებათ უდროოდ და ტრაგიკულად დაკარგვამ, აუტანელმა მწუხარებამ და სულის მღელვარებამ გასტეხეს მ. ლუკას გრძნობიერი გული; მოლუნეს იგი წელში... თხუტმეტიოდე დღის წინეთ გაცივდა მ. ლუკა. ანთების ალი მოედო მის ფილტვებს. დაუძლურებულმა ისმა სხეულმა და მსოფიანებამ ვერ გაუძლეს ამ ცეცხლის ძლიერებას და შესახედავით მამაცი და ახოვანი ლუკა ჩაასვენეს ამ ლამაზათ მოართულს კუბოს კედლებში, სადაცა თვალნი მისნი ბნელ იქმნეს და ფერხნი შეკრულ, ხელნი უხმარ სასმენელითურთ, და ენა დადუმებულ და ბავენი

დაბნულ, და აწ ს. ფლავსა მიეცემის და ლოდითა დაიფარვის და მკედართა თანა დაეფლვის. აწი ამ კათედრიდან მ ლუკას ბოხი ხმა არ მისწვდება თქვენს ყურებამდის, აწი ვერ გამოიგონებთ ლუკას სიტყვებს. რამოდენიმე წაში დიდი დიდი ერთი საათი და მ. ლუკას გაყინული სხეული ჩაესვენება ცივს მიწაში.

დიად, პრეტორიანი ლუკა ხოშატრია მოკვდა. მაგრამ არა! ის კი არ დაკარგულა, არა. მან მხოლოდ განისვენა. მოკვდა. სიცოცხლეს მოაკლდა მხოლოდ მისი სხეული, მხოლოდ ხილული ნაწილი მისის არსებისა, გარნა მისი უკვდავი სული, მხედველი და მსმენელი, სული მოაზრე და მგრძობელი, სული ხორცს მოშორებული, მაგრამ სიცოცხლით სავსე, ეს უხილავა სული ლუკასი იმყოფება დღეს აქ ჩვენთანა, ის ჩვენთან ერთად სტირის, ჩვენთან ერთად ლოცულობს, ის ჩვენ გვეუბნება: „მშვიდობით, მოწყალეო მეუფეო, ჩემო ტკბილო ბატონო! შეიძლება ბევრი რამ გაწყენიე, შეიძლება რამე დაგიშავე, შეიძლება რამეს მემღუროდი, მიწყრებოდი მაგრამ მოიწია ჩემზედა ეამი სიკვდილისა და აწი გთხოვ შემიწოდო მამაშვილურად, გთხოვ ევედრო, ხშირად ევედრო ქრისტესა ღმერთს, რათა არა განგდებულ ვიქმნე ცოდვითაგებრ ჩემთა ადგილსა სატანჯველისასა, არამედ რათა დაწესებულ ვიქმნე, სადა იგი არს ნათელი ცხოვრებისა... მშვიდობით, კრებულო, ჩემო კარგო, ჩემო პატივისმცემელნო ამხანაგებო! შეიძლება თქვენც რამე შეგცოდეთ. ღვთის გულისათვის მაპატივეთ ძმურათ. თქვენცა გთხოვთ, თქვენც გეხვეწებით გულმხურვალეთ ევედროთ ღმერთსა ჩემთვის, ჩემის სულის ცხოვრებისათვის... მშვიდობით, ჩემო ახალო, ჩემო დაუსრულებელი სახლ-კარო!.. მშვიდობით, ჩემო საყვარელო ცოლშვილო, ჩემო ძვირფასო ნათესავებო!.. მშვიდობით შენცა, ჩემო ბაბუია, ჩემო კარგო, ჩემო ცელქო თამარა, ჩემო პაწია გოგუნავ! ყველასა გთხოვთ, ყველას გევედრებით გებრალეოდეთ ჩემი ობოლი თამარა... მშვიდობით გურია-სამეგრელოს სამღვდლოებავ, მშვიდობით მეგობრებო, მეზობლებო, ნაცნობებო, ფოთელებო,

საქუონდლებო!.. დღეს მე დაბოლოვებით ვშორდები ამ ხილულს ქვეყანას, დღეს მე სამუდამოთ ვსტოვებ ამ თქვენს დედამიწას, დღეს მე მივდივარ შორს, ზეცაში, ბრწყინვალე სულთა სამყაროში. დღეს მე მკირია თქვენი თანაგრძობა, თქვენი დახმარება, თქვენი შენდობა, თქვენი ლოცვა. შემინდევით, ქრისტიანებო, დამილოცეთ, ძმებო გზა, რომ მე უშიშრათ წარვსდგე წინაშე ღვთისა, წინაშე უდიდესის მსაჯულისა, რათა მე ვიქნე განსვენებულ ადგილსა ნათლისასა ადგილსა მწვანეფილოვანსა, სადა იგი არა არს კირი, არცა მწუხარება, არა ჭრვა არცა სულთქმა, არამედ სადაც არს სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

და ჩვენცა გულ დაწყვეტილი შენის მოშორებითი და შეკრებილი ამ შენი კუბოს გარშემო, მწუხარებით მოგიგებთ: „მშვიდობით, ძმაო ლუკა! შენ არ იყავი ბოროტი კაცი, შენ არ გინდოდა ვისმესთვის ცუდი, შენ არ გშურდა სიკეთე სხვისთვის, შენ გულში ღრმად გქონდა ჩანერგული მტკიცე სარწმუნოება, რომელსაც შენ ყოველთვის თამამად აღიარებდი. და აი ეს ურცხვენელი, ეს ცხოველი სარწმუნოება, ეს ძვირფასი სამკაული კაცის სულისა, ეს ციური ძალა, ეს ღვთაებრივი ფარი წინაგიდლოდეს, ძმაო და მეგობარო, ეხლანდელს შენს ზეციურს მოგზაურობაში. მრავალმოწყალემან ღმერთმან შეგინდოს შენ, საყვარელო ძმაო და თანამწირველო, ყოველნი შეცოდებანი შენნი ნებსითნი და უნებლიეთნი და მოგანიკოს უფალმან შენს სულს საუკუნო ნეტარება.

ამინ.

მღ. ი. ბობოხიძე.

მოწერილი ამბავი.

გელათის მონასტერი. 28 მარტი 1910წ.

დღეს წირვის გათავების შემდეგ, გელათის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი მამა ნაიკა-

ფორე კრებულთურთ კავშირთენ ხატებით და ჭვრით კარდაცვალებულს უოვლად სამღვდლო კარბელ ეპისკოპოსის აღშენებულ სახლში, სადაც კარდახილ იქმნა მარაკლისი და შემდეგ წარაკლისისა, ჩვეულებრივი ჩიმლოცვისა და მრავალ ჭამიერისა, სახლი ესე და დამსწრენი ასხურა წინამძღვარმა წმიდა ააზმით. მიზეზი ესრეთისა იყო ის, რომ ამ სახლს კიდევ ედირსა განსხნა სამრევლო შოლად, სადაც დღეს ორმოცდა ერთი მოწაფე ზის.

ამ სახლში წინეთ იყო სამრევლო შოლა, ხოლო რადგან 1903, წ. აწ კარდაცვალებულს გრიგოლ ეპისკოპოსს დაუნიშნა სინოდის კანტორამ სცხნოვრებულად, შოლა ესე იქმნა დახურული, თუმცა გრიგოლ ეპისკოპოსი დაბინავდა არა ამ მონასტერში, არამედ მარტვილში, მაგრამ უქსია კანტორისა, რომელიც ამბობდა, რომ შოლა სხვაგან გადაიტანეთ, აღსრულდა და ამ მიზეზით დღემდის ამ სახლებში სწავლა აღარ განხლებულა. 1906 წელში არხიმანდრიტმა ნიკიფორემ, დანიშნისთავანაგე ამ მონასტრის წინამძღვრათ, განიზრახა ხელახლა გაეხსნა დახურული შოლა, მაგრამ რადგან ამ სახლების რამდენიმე ოთახი ძმათა სცხნოვრებულად იყო დატებული და სამ ოთახში სტუმრებს ღებულბდნენ, რომლის მაგიერ სასტუმრო არ იშოვებოდა, ამისთვის განხორციელება ამ საქმისა დღემდის შეუძლებელი შეიქმნა. თუმცა ეს საჭიროება მონასტრის დღესაც ისევ ადგია, მაგრამ ჭიდარო მისწრაფებამ შოლის განსნისათვის სძლია საჭიროებას და, წინამძღვრის თხოვნისამებრ, გაიხსნა კიდევაც მართებლობის ნებართვით. მასწავლებლად მოწვეულია ეკსამენ დაჭერილი სევასტი ნოორაძე. სამოსწავლო საბჭომ მასწავლებელს არავითარი შემწეობა არ დაუნიშნა. მასწავლებელმა სსოკადით გამოაცხადა, რომ მოწაფეებს სწავლის უფლებისათვის არაფერი კარდახლებათო და რასაკვირველია ამისთანა შოლას მოწაფეები ბლომად მიუშურებს შით უმეტეს, რომ ახალი შოლის მასწავლებელი სევასტი ნოორაძე მოწაფეებს მუუათად ასწავლის, რომელიცა წარსრულის წლის მისმა კერძო სწავლებამ დაამტკიცა. დმერთმა ინებოს ამ ახალ განსნად შოლაში მოწაფეების რიცხვიც გამრავლებულიყო, სწავლის საქმე კარგ ნიადგზე დამდგარიყოს და მნახელებს ამისთან სამოსწავ-

ლო რჩევამც შომაულში მაინც იზრუნოს მასწავლებლისთვის რაიმე შემწეობის მოზოებისათვის, რომელიცა მისთვის ადელი შესძლია, უკეთუ ინებებს.

მღვდელმონაზონი ილარიონი.

ნარკვევი.

ექიმობაში დიდი ხანია სარგებლობენ ელექტრონით. ეხლა პარიჟში ცნობილ ქრილობის ექიმს დუაიენს აღმოუჩენია, რომ ელექტრონის საშვალებით შეიძლება განიკურნოს მოურჩენელი სენი კიბო. ელექტრონიო, ამბობს ექიმი, უნდა შეუშვათ იმ ალაგას, სადაც გაჩდება კიბო და სიმბურვალე 50-55° მღე აიწვესო. ასეთ სიმბურვალეს თურმე ვერ აიტანს კიბოს საზარდი ნაწილები და კიბო გაქრება. ეს საშვალება, როგორც ახალი აღმოჩენა, საიმედო ყოფილა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა კიბო, კაცის ტანის ზემოთ არის გაჩენილი მაგალითად ენაზე, ჩარბებზე ან გვერდებზე.

ამ გამოგონების შესახებ პეტერბურგში ცნობილ ქირურგს პროფესორს პავლოვს უთქვამს: „თუმცა დუაიენი ძლიერ ნიკიერი ექიმი, მაგრამ, სჩანს, გატაცებულია ახალი აღმოჩენითო. ყოველ შემთხვევაშიო, უთქვამს პ. ვლოვს, საქვეყნოთ გამოცხადებამდე რამდენიმე ცდა და დაკვირვება იყო საჭიროო.

(Бирж. Вѣд. 68).

მომავალ სამოსწავლო წელში პეტერბურგში გაიხსნება ქალთა რეალური სასწავლებელი. პროგრამმა ახალი სასწავლებლისა იქნება ისეთი, როგორიც დღეს არის მიღებული ვაჟთა რეალურ სასწავლებელში.

ეს სასწავლებელი პირველი მაგალითი იქნება რუსეთში.

(Бирж. Вѣд. № 17.)

როგორც ვაზეთები გვატყობინებენ სინო-
დი იმ აზრისაა, რომ სასულიერო უწყების
მასწავლებლები გაუთანასწოროს ჯამაგირით
საეროსას.

ქცა ამით აცხადებს. რომ მას არავითარი
ცნობა ხსენებულ ბლალაჩინისაგან არ მო-
სვლია.

ვისაც ხელის მოწერა არ განუახლებია
მას ამ ნომერიდან ეურნალი იღარ გაეგ-
ზავნება.

კვირიდან კვირობამდე.

როგორც გავიგეთ რკინის გზის მღვდლის
ადგილზე სამტრედიაში ექსარხოსის განკარ-
გულებით რუსეთიდან გადმოუყვანიათ რუსი
დეკანოზი.

„შინაური საქმეების“ რედაქციამ
მიიღო სარწმუნოებრივ-განმანათლებელ
ძმობის სასარგებლოდ საწევრო ფული:
ყოვლადსამღვდელო ლეონიდისაგან 30მ.
(სულ წინანდელ შემონატანთან ერთად
120 მან.); არქიმანდრიტი ამბროსისაგან
3 მან.; მღვდელ სპირიდონ ჯუღელისა-
გან 3 მან. და ივანე სუხაშვილისაგან 3მ.
სულ 39 მან. ეს ფული გადაეცა ძმობის
გამგეობას.

ამ ქველ ქუთაისში ბრძანდებოდა მ.
პაშკევიჩი, სამრევლო სკოლების საოლქო
მეთვალყურე. მას მონდობილი ჰქონდა დაე-
თვალეობა ბრავადლის (რაჭის მაზრა)
სამრევლო სკოლის შენობა, რომლისთვისაც
სკოლის მწრუნველს დეკანოზს მ. სხირტლაძეს
სინოდიდან 2000 მან. გიმუთხოვია, მ.
პაშკევიჩს ძრიელ მოსწონებია შენობა და
აღუთქვამს თავის მხრით შუამდგომლობა. ქუთა-
ისიდან მ. პაშკევიჩი სოხუმის ეპარქიაში
გაემგზავრა, საიდანაც თბილისს დაბრუნდება.

განცხადება.

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
 - 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის
არსებობა — — — 5 კაპ.
 - 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
 - 4 ქრისტიანობა ბებელის ლაბორა-
ტორიაში — — — 10 კაპ.
 - 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გაე-
ლენა მეცნიერებასა და ცხოვრე-
ბაზე — — — 10 კაპ.
- ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს
მანეთზე აბაზი დაეთმობა.

ნაადგომევეს ყოვლადსამღვდელო ლეო-
ნიდი ხელახლა აპირებს გურიაში გასვლას.
ეხლა მისი მუუფება მოივლის იმ სამრევლოებს,
რომლებსაც არ დაუთვალეობა პირველ
მოგზაურობის დროს. სასურველია ქართლ-
კახეთის ქორეპისკოპოზიც გაეცნობოდეს
სარწმუნოების მდგომარეობასთვის სამწყროში
და სინოდის კანტორა მიიღებდეს შესაფერ
ზომებს მის აღსადგენად.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მამალიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეშავა**

როგორც გავიგეთ, მ. ბლალ. ფანჯავიძის
საბლალაჩინო ოლქის სამღვდელოებას დაუ-
დგენია ეურ. „შინაური საქმეების“ გამოწერა
და მიუნდვია თვით მამა ბლალაჩინისთვის.
რედაქცია საყვედურის წერილებს ღებულობს
გაზეთის გაუგზავნელობისათვის- ამიტომ რედა-